ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 98
(11 759)

19 – 22 დეკემბერი, 2003 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

- ალიოხინის ტრაგიკული ბედი
- რატი ალექსიძე ახლო პლანით

- მიხეილ მესხის ფინტი

- კრუიფი: გზა მიეცით ახალგაზრდებს!
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი



იმედგაცრუებულნი, მაგრამ არა დაბნეულნი

„საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით იმედგაცრუებულნი ვართ". ასე დაიწყო გუშინ საღამოს გამართული ხანმოკლე ბრიფინგი რამდენიმე ჟურნალისტთან სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩიხლაძემ.

— „კარგად გვესმის რომ კანონი კანონია და ვთვლით, რომ ყველაფერი მის ფარგლებში უნდა გადაწყდეს. იმედი გვქონდა, სფფ-ს პრეზიდენტს გაათავისუფლებდნენ და გამოძიების დასრულებამდე გააგრძელებდა თავის პოსტზე მუშაობას. ვთვლით, რომ ჩვენი პოზიცია სწორი იყო და ჟორდანიას საქმე უფრო სამოქალაქო კოდექსით გასარჩევი იყო. ეს ჩვენი აზრია. დაბნეულები არ ვართ, სფფ-ს პრეზიდენტს შევეხმიანე და მისი თხოვნაც და მოთხოვნაცაა, რომ სფფ-მ ნორმალურ რიტმში გაორმაგებული ძალებით გააგრძელოს მუშაობა ყველა საფეხბურთო საკითხზე.

მერაბ ჟორდანია თავს დამნაშავედ არ სცნობს და მხოლოდ სასამართლოს შეუძლია მისი ბრალეულობის დამტკიცება. აუცილებელია დავიცვათ უდანაშაულობის პრეზუმცია. ჟორდანია კვლავ რჩება სფფ-ს პრეზიდენტად, მაგრამ რადგან იგი თავის მოვალეობას, ფაქტობრივად ვერ ასრულებს, მომავალ კვირაში დაინიშნება სფფ-ს აღმასკომის სხდომა, რომელიც გამოაცხადებს თუ ვინ შეასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას დროებით. თუ სასამართლო დაადგენს, რომ ჟორდანია წაყენებულ ბრალდებაში დამნაშავეა, დაინიშნება რიგგარეშე ყრილობა ორი თვის ვადაში.

ყოველდღიურად ვეხმიანებით ფიფა-უეფას. ჩვენიც და მათი პოზიციაც ისაა, რომ ყველაფერი აღსრულდეს კანონის ფარგლებში.

რაც მოხდა ქართული ფეხბურთისთვის ძალიან ცუდია, თუმცა პარალიზებულები არ ვართ და ყველა პროექტზე მუშაობა გაგრძელდება. ამ ეტაპზე შეჩერდა ეროვნული ნაკრებისთვის უცხოელი მწვრთნელის მოწვევა, რადგან ამ საკითხზე კონკრეტულად მერაბ ჟორდანია მუშაობდა. ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობა გაისად გაირკვევა. სფფ-ს პრეზიდენტთან ერთად ვმუშაობთ შესარჩევი ციკლის კალენდარზეც. მართალია ცაიტნოტში ვართ, მაგრამ დრო კიდევ არის და კალენდარს ვადებში წარვადგენთ. არ მინდა ვიფიქრო, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან რაიმე ზეწოლაა. თქვენთან შეხვედრამდე მე, ალექსანდრე ჩივაძე, სერგო კოტრიკაძე და მაკა ასათიანი შევხვდით მიხეილ სააკაშვილს. მასთან საუბარმა კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა და იმედი გვაქვს უკანონობა ვერ გაიმარჯვებს. ველოდებით მერაბ ჟორდანიას სამი თვის ვადის გასვლამდე განთავისუფლებას."

* * *

„სფფ-ს პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას 750 ათასი ლარის გარდა, კიდევ 4 მილიონს ედავებიან. ხოლო თითქოს, შვეიცარიის ბანკში მის ანგარიშზე 4 მილიონი ლარი ირიცხებოდეს, გამოგონილი ფაქტია, რაც ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს. ეს არის პიროვნებაზე სახელმწიფო ჩინოვნიკთა ზეწოლის ტიპიური გამოვლინება" — განაცხადა მერაბ ჟორდანიას ადვოკატმა ზურაბ როსტიაშვილმა.

სფფ-ს პრეზიდენტის მხარე მზად იყო გირაოს სახით 247 ათასი ლარი გადაეხადა, მაგრამ პროცესის მსვლელობისას საქმის ახალი გარემოებები წარმოიშვა. საოლქო სასამართლომ ჯერ გირაოს 400 ათას ლარამდე გაზრდა მოითხოვა, საიდანაც 61 ათასი პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა ჩარიცხულიყო, მერე ამოტივტივდა 4 მილიონი და მოსამართლე ომარ ჯორბენაძემ საქმის განხილვა და საბოლოო ვერდიქტის გამოტანა ხუთშაბათისთვის გადადო.

გუშინ კი... მოსამართლემ მოსარჩელე მხარეს სარჩელზე უარი უთხრა და ძალაში დატოვა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, რაც მერაბ ჟორდანიას მიმართ, წინასწარ სამთვიან პატიმრობას ითვალისწინებს.

საქ. ინფორმაციები.

საქართველო

GEORGIA

სეოკ-ის განცხადება

24 დეკემბერს სასტუმრო „მეტეხი-პალასში" ჩატარდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოველწლიური სესია. დასაწყისი 12 საათზე.

ევროპის ორგზის ჩემპიონები ხელმძღვანელებთან და სპონსორებთან ერთად

ომში გამარჯვებულნი

ესეც ომი იყო და ერთი ქართველი ოთხის წინააღმდეგ იბრძოდა

სპორტული პაექრობაც ომს ჰგავს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ეს ბრძოლა მშვიდობიანია. ამას წინათ, ძიუდოისტებმაც ასეთი ბრძოლა გადაიტანეს ლონდონში ევროპის გუნდურ ჩემპიონატში ასპარეზობისას. საომარი კი ნამდვილად იყო — ევროპის ჩემპიონის ტიტულის დაცვა და ორგზის გაჩემპიონება. მართალია, ქართველები ფავორიტებად ითვლებოდნენ ფინალში მოასპარეზე ოთხეულში, მაგრამ ისეთი ქვეყანა, თანაც ძიუდოში ერთ-ერთ უძლიერესად ცნობილი, როგორიც ინგლისია, ასე ადვილად არაფერს დათმობდა საკუთარი მაყურებლის თვალწინ. გასაკვირი სულაც არ არის, რომ მსაჯთა სიმპათიები ისედაც მასპინძელთა მხარეს იხრება ხოლმე ჩვეულებრივ, მით უმეტეს ამჯერად, როცა კავკასიის ერთი პატარა, დღეს ეკონომიკურად გასაცოდავებული ქვეყანა აცხადებდა პრეტენზიას ჩემპიონის ტიტულზე, თანაც უკვე ჩემპიონი ქვეყანა. გეყოთ! (იგულისხმეთ კმარა), ხმამაღლა არავის შეუძახია ჩვენებისთვის, თორემ იმათ, ვინც ორგანიზატორებად იწოდებიან და, განსაკუთრებით მსაჯებმა, უთქმელადაც მუდამ კარგად იციან რა მოიმოქმედონ.

დაძაბულ ორთაბრძოლებში ქართველებს თავი არ დაუზოგავთ. ბიჭებს კარგად ესმოდათ, რომ თითოეულს გამარჯვება ოთხ მეტოქესთან პაექრობაში უნდა გამოეჭედა. — ერთი უშუალოდ ფალავანი იყო, სამიც — მსაჯი. აი, ასეთ ომში მოიპოვეს ჩვენმა რაინდებმა გამარჯვება, თანაც ზედიზედ მეორედ.

პირველი გამარჯვება შარშან იყო. მაშინ ჩაეყარა საფუძველი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა თაოსნობით გამარჯვებულებთან საზეიმო შეხვედრას. ტრადიცია გაგრძელდა და ამჯერად რესტორან „ოლიმპში" შეიკრიბნენ ტრიუმფატორები და მათი თაყვანისმცემლები, მასპინძელი კი ამჯერადაც ძიუდოს ფედერაცია იყო.

„ჩვენმა სახელოვანმა ძიუდოისტებმა კიდევ ერთხელ მოგვანიჭეს უდიდესი სიხარული, კიდევ ერთხელ მოგვცეს კვლავ შეკრებისა და დიდი გამარჯვების საზეიმოდ აღნიშვნის შესაძლებლობა" — თქვა შეხვედრის გახსნისას საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა,** რომელიც თავადვე წაუძღვა საღამოს. პირველი სიტყვა მან მისცა სახელოვან ვეტერან მწვრთნელებს **გურამ პაპიტაშვილს** და **ბიძინა მაზიაშვილს,** შემდეგ გამარჯვებულებს საამაყო წარმატება მიულოცეს მწერალმა (ყოფილმა ლელოელმა) **ნუგზარ შატაიძემ,** ოლიმპიურმა ჩემპიონმა **შოთა ჩოჩიშვილმა,** პირველმა ევროპის ჩემპიონმა **ანზორ ქიბროწაშვილმა,** ვეტერანმა ფალავანმა **თემურ ხუბულურმა,** ვეტერანმა მწვრთნელმა **ქრისტეფორე ნინიაშვილმა,** სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ლერი ხაბელოვმა,** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **შოთა ხაბარელმა,** ფედერაციის პრეზიდენტმა **დილარ ხაბულიანმა,** რომელმაც მადლობა გადაუხადა სპორტის დეპარტამენტს, სეოკ-ს, ფოთის პორტის დირექტორს ჯემალ ინაშვილს, ყველას, ვინც ხელი შეუწყო გუნდს ლონდონში გამგზავრებაში და წარმატების მოპოვებაში.

ბოლოს ყველაფერი დასრულდა იმის ღრმა რწმენით, რომ ასეთი შეხვედრების ტრადიცია გაგრძელდება, ანუ ჩვენი ძიუდოისტები კვლავაც მოიპოვებენ ახალ წარმატებებს.

თ. თომაშვილი.

თქვენ და „ლელო"

რა გავაკეთოთ, რომ „ლელო" დაინტერესებულმა მკითხველმა შეუფერხებლად მივიღოთ?

ასეთი შეკითხვით რეგიონებიდან ხშირად მოგვმართავენ ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველები.

იმისათვის, რომ „ლელოს" ყველა ნომრის მიღება გარანტირებული გქონდეთ, არსებობს რამდენიმე გამოსავალი: 1. გამოიწერეთ გაზეთი ყოველ 6 თვეში ერთხელ; 2. შეუთანხმდით „საქპრესის" ჯიხურში მომუშავე გამყიდველს, რომ თქვენთვის, როგორც მუდმივი მომხმარებლისთვის შეუკვეთოს გაზეთი; 3. შეუთანხმდით გაზეთის კერძო გამავრცელებელს იგივე პრინციპით.

საქართველოს თასი

16-21 იანვარი — რუსთავი, 26-28 იანვარი — ბათუმი, 27 მარტი — ფინალი, თბილისი — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომმა საქართველოს თასის მეორე გათამაშებასთან დაკავშირებით. გათამაშებაში 6 გუნდი იასპარეზებს — „დინამო", „ბასკო", სტუ-„ჯეოსელი", თსუ, „რუსთავი" და სსუ. ასპარეზობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს „მაქაბიმ" და „ქუთაისმა". ახალი სისტემით პირველ ეტაპზე რუსთავში ექვსეულიდან გამოვლინდება ოთხი საუკეთესო, რომლებიც ბათუმში გადაინაცვლებენ, სადაც ფინალში მოხვედრისთვის გაგრძელდება პაექრობა. დავძენთ, რომ მატჩები ორივე ქალაქში გაიმართება წრიული სისტემით, ფინალისტები კი, როგორც ითქვა, თბილისში გაარკვევენ ურთიერთობას ერთმანეთში.

გადაწყდა, რომ მეორე ეტაპზე გუნდებს გადაჰყვებათ სასტარტო ეტაპზე მოპოვებული ქულები, ამასთან, სათვალავში არ მიიღება ბოლო ორ (V, VI) ადგილებზე გასული გუნდებთან ნათამაშები მატჩების შედეგები.

ახლა გაგაცნობთ საქართველოს თასის გათამაშების პირველი ეტაპის კალენდარს. შეგახსენებთ, რომ მატჩები, წრიული სისტემით, გაიმართება რუსთავში.

16 იანვარი: დინამო — სტუ-ჯეოსელი 13.00; სსუ — ბასკო 15.00; რუსთავი — თსუ 17.00; **17 იანვარი:** თსუ — დინამო 13.00; სტუ-ჯეოსელი — სსუ 15.00; რუსთავი — ბასკო 17.00. **18 იანვარი:** სტუ-ჯეოსელი — თსუ 13.00; სსუ — რუსთავი 15.00; დინამო — ბასკო 17.00. **20 იანვარი:** ბასკო — სტუ-ჯეოსელი 13.00; თსუ — სსუ 15.00; რუსთავი — დინამო 17.00. **21 იანვარი:** ბასკო — თსუ 13.00; სსუ — დინამო 15.00; რუსთავი — სტუ-ჯეოსელი 17.00.

მაესტროს სემინარი თბილისში

საქართველოს სპორტცეკვების ეროვნულმა ფედერაციამ ახლახან თბილისში, მუშტაიდის ბაღში „თელას" საცეკვაო დარბაზში, ჩაატარა კვალიფიკაციის ამაღლების სემინარი ქვეყნის წამყვანი მოცეკვავე წყვილების, მსაჯების და პედაგოგ-მწვრთნელებისთვის. სემინარს დაესწრო დედაქალაქის ყველა წამყვანი სპეციალისტი და შემსრულებელი, აგრეთვე წარმომადგენლები სენაკიდან და ახალციხიდან. სემინარს უძღვებოდა მოსკოვიდან მოწვეული სტუმარი — საბჭოთა კავშირის და რუსეთის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალისტი ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში სერგეი დუვანოვი.

როგორც სემინარების მონაწილეები, ისე ფედერაციის ხელმძღვანელები და სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ სემინარის მაღალ დონეს. დუვანოვი დიდი სპეციალისტია და ეს მან თბილისშიც დაამტკიცა. სამი დღის განმავლობაში იგი დღეში 10-12 საათის განმავლობაში გადასცემდა სემინარის მონაწილეებს ლათინურ-ამერიკული ცეკვების სამყაროს სიახლეებს, ჩატარდა როგორც ჯგუფური, ისე პრივატული მეცადინეობები. შედეგები, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, უკვე თავს იჩენს საქართველოს თასის გათამაშებაში („საახალწლო თბილისი — 2003"), რომელიც დღეს, 19 დეკემბერს დაიწყება და სამ დღეს გასტანს. მუშტაიდის ბაღის საცეკვაო დარბაზში.

სერგეი დუვანოვი და ია კვირიკაშვილი პრაქტიკულ მეცადინეობაზე

აღსანიშნავია, რომ ასეთი ტურნირი გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში ტარდებოდა და ახლა კვლავ აღსდგა ეს ტრადიცია.

თენგიზ ბაჩეჩილაძე,
საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი

ფოტო რობერტ ბაგოიანისა.

წავიდა დაუმარცხებელი, მაგრამ ავტორიტეტშელახული

გაზეთ „პარიზერ ცაიტუნგის" 1941 წლის 18-23 მარტის ნომრებში გამოქვეყნდა ჭადრაკში მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონის ალექსანდრ ალიოხინის სტატიები „ებრაული და არიული ჭადრაკი". შემდგომ სტატიები გადაბეჭდეს „ნიდერლანდების გერმანულ გაზეთში", ჟურნალებში „დოიჩე შახცაიტუნგი", „ჩესს", ხოლო ავტორის გარდაცვალების შემდეგ კი, 1983 წელს „გროსჰამერ ფერლაგის" მიერ ნიურნბერგში ორჯერ ცალკე ბროშურადაც გამოიცა და ბოლოს, საბჭოთა კავშირში პირველად, 1991 წლის სექტემბერში დაიბეჭდა საჭადრაკო მიმოხილვა „64"-ში.

ყოველთვიურ ჟურნალ „იმიჯის" მიმდინარე წლის ნოემბრის ნომერში პირველად ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ლიტერატორ გიორგი მახარაძის სტატია „წავიდა დაუმარცხებელი, მაგრამ ავტორიტეტშელახული", რომელიც აშუქებს ა. ალიოხინის ანტისემიტურ სტატიებთან დაკავშირებულ და მათ თანმდევ მოვლენების თემას.

ჟურნალ „იმიჯის" რედაქციის თავაზიანი თანხმობით, გთავაზობთ გიორგი მახარაძის სტატიას „წავიდა დაუმარცხებელი, მაგრამ ავტორიტეტშელახული".

იხ. მე-2 გვ.

ATHENS 2004

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 235 დღე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 3 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

ორი ღია ტურნირი სპორტის აკადემიაში



თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ღია პირველობა ამჯერად მეთვრამეტედ ჩატარდა. ასპარეზობას ფალავანთა კლუბმა უმასპინძლა. ტურნირის ავტორიტეტი აამაღლა იმანაც, რომ მონაწილეთა შორის იყვნენ მაღალი რანგის სპორტსმენები — ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი დავით ოთიაშვილი, კონტინენტის გამარჯვებულები და მსოფლიოს პრიზიორები მიხეილ ბაგაური, დავით ლეჟავა, ზვიად სისაური, აგრეთვე საქართველოს ნაკრების წევრები, სხვა უმაღლესი სასწავლებლების რჩეული ფალავნები. მთავარი მსაჯი იყო ცნობილი მწვრთნელი მარლენ ოსეყმაშვილი.

კვარცხლბეკი. 55 კგ: 1. მ. გურგენიძე, 2. ვ. რიკაძე, 3. გ. ტარუაშვილი (სამივე — აკად); **60 კგ:** 1. ლ. ჩაბრაძე, 2. გ. გულიაშვილი, 3. რ. შერგელაშვილი (სამივე — აკად); **66 კგ:** 1. ი. მაქარაშვილი (აკად), 2. ი. შველიძე (ნაკრები), 3. ჯ. კინტარაძე (ორს); **74 კგ:** 1. გ. სალირაშვილი (ნაკრ), 2. დ. ლეჟავა (თსუ), 3. ა. ქიტიაშვილი (ნაკრ); **84 კგ:** 1. მ. ჯორბენაძე, 2. მ. ბაგაური, 3. ნ. გაგნიძე (სამივე — აკად); **95 კგ:** 1. დ. სისაური (აკად), 2. ვ. ალიბეგაშვილი, 3. დ. გობეჯიშვილი (სამივე — აკად); **120 კგ:** 1. დ. ოთიაშვილი (თსუ), 2. ზ. სისაური (აკად), 3. კ. კერესელიძე (ორს).

„ტურნირი ორ ამოცანას ისახავდა მიზნად: პირველი — იმ კანდიდატების შერჩევა, რომლებიც მოემზადებიან მსოფლიო პირველობისთვის და მეორე — ეს იყო მოსამზადებელი ეტაპი საქართველოს პირველობის წინ, რომელიც ჩატარდება იანვარში. შედეგებით კმაყოფილი ვარ" — გვითხრა აკადემიის ჭიდაობის კათედრის გამგემ, ნაკრები გუნდის სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელმა გურამ რატიშვილმა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ მადლიერებით მოიხსენია აკადემიის რექტორი ომარ გოგიაშვილი, მთლიანად აკადემიისა და სპორტკლუბის ხელმძღვანელობა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

ერთ ასპარეზობას მეორე მოჰყვა. ამჯერად ხალიჩაზე გამოვიდნენ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში აკადემიის ღია პირველობის მონაწილენი. ეს ტურნირიც ტრადიციულია და სათავეს იღებს 1977 წლიდან. აქაც წარმომადგენლობა ფართო იყო, ოღონდ შეიძლება ითქვას, ისრაელის წარმომადგენლის მონაწილეობამ ტურნირს საერთაშორისო ხასიათი მისცა. სტუმარი იაშა მანაშეროვი, რომელმაც უკვე მოიპოვა ათენის ლიცენზია, ფინალში აკადემიის სტუდენტს შალვა გადაბაძეს (84) შეხვდა და ორთაბრძოლა მასპინძლის გამარჯვებით დასრულდა.

კვარცხლბეკი. 50 კგ: 1. ზ. ზურაშვილი, 2. ლ. დოდაშვილი, 3. გ. ასანიძე (სამივე — თბ); **55 კგ:** 1. მ. ნიშნიანიძე (ქუთ), 2. მ. სოლომონიძე (ბათ), 3. რ. ლაშხი (აკად); **60 კგ:** 1. ჰ. ბიწაძე, 2. ლ. ოდიშარია (ორივე — თბ), 3. გ. ჩხენკელი (აკად); **66 კგ:** 1. რ. დუმბაძე (ბათ), 2. მ. ცხადაია (აკად), 3. ლ. ზურაბიანი (ოზურგ); **74 კგ:** 1. გ. გოგიშვილი (აკად), 2. ნ. ცალუღელაშვილი, 3. ა. ქიტუაშვილი (ორივე — თბ); **84 კგ:** 1. შ. გადაბაძე (აკად), 2. ი. მანაშეროვი (ისრაელი), 3. ა. ქიტუაშვილი (თბ); **96 კგ:** 1. გ. მორჩილაძე, 2. გ. პაპიაშვილი (ორივე — თბ), 3. ლ. ბიგანიშვილი (თსუ); **120 კგ:** 1. ო. ბოლქვაძე (აკად), 2. გ. ფურცელაძე (ბათ).

სპორტის აკადემიის რექტორის სახელით სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ: მ. კვირკველია, რ. ნოზაძე.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თემურ ყაზარაშვილი.

მარიამ ქევხიშვილი, სპ. აკადემიის სტუდენტი.

თავისუფალ (მარცხენა სურათზე) და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გამარჯვებულნი. ფოტოები რ. ბაგოიანისა

წავიდა დაუმარცხებელი, მაგრამ ავტორიტეტშელახული

პირველი გვერდიდან

1991 წელი მოულოდნელი აღმოჩნდა ჭადრაკის ურიცხვი მოყვარულისთვის. „დედამიწის ერთ მეექვსედზე" გამჟღავნდა ერთი ტაბუდადებული დეტალი გენიალური მოჭადრაკის, მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონის, ალექსანდრ ალიოხინის ცხოვრებისა. მხედველობაში გვაქვს ალექსანდრ ალიოხინის ანტისემიტური სულისკვეთებით განმსჭვალული სტატიები — „ებრაული და არიული ჭადრაკი".

საინტერესოა, რომ ამ პუბლიკაციებამდე ექვსი თვით ადრე, იმავე „64"-ში დაიბეჭდა საყურადღებო მასალა მსოფლიოს გამოჩენილი დიდოსტატის, ამერიკელი როიბნ ფაინის 1958 წელს გამოცემული წიგნიდან — „ჩემი პარტიების გაკვეთილების" ის ფრაგმენტი, სადაც მოთხრობილია მეოცე საუკუნის ლეგენდარული ABPO ტურნირისა (ჰოლანდიის რადიოკომპანია — „ალგემენე ვერენიგდე რადიო ომროპი", რომელმაც 1938 წელს დააფინანსა დიდოსტატთა საერთაშორისო ტურინირი ჭადრაკში) და ჭადრაკში მსოფლიო პირველობის ისტორიის შესახებ.

ამ ფრაგმენტით საბჭოთა საჭადრაკო პრესის ფურცლებზე პირველად გამომზეურდა ალიოხინის საბედისწერო სტატიები. რ. ფაინი ირონიულად შენიშნავს, რომ ამ პუბლიკაცებით ალიოხინი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ებრაელები უნიჭო მოჭადრაკეები იყვნენ, რომ მხოლოდ „არიულ სულს" შესწევდა ძალა, შეეტანა ჭადრაკში ცეცხლი.

საბჭოთა ჭადრაკის აღიარებულმა ლიდერმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, მიხაილ ბოტვინიკმა მწვავედ გააკრიტიკა მსოფლიო ჩემპიონობის ისტორიის ფაინისეული მოსაზრება, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, სიტყვაც არ უთქვამს ალიოხინის ანტისემიტურ სტატიებზე. მხოლოდ ოთხნახევარი თვის შემდეგ, „64"-ის იმავე ნომერში, რომელშიც გამოცემის რედაქცია ამთავრებს ალიოხინის პუბლიკაციების ბეჭდვას, ბოტვინიკი აქვეყნებს შენიშვნებს — „ალიოხინის სტატიების შესახებ". მასში ვერ ნახავთ ბოტვინიკისთვის დამახასიათებელ პრინციპულ, გამოკვეთილ პოზიციას ალიოხინის მოსაზრებათა მიმართ. ეხმაურება რა ალიოხინის მტკიცებას, თითქოსდა ანტისემიტური შინაარსი პუბლიკაციებს დაამატეს და მას არ დაუწერია, ბოტვინიკი გადაჭრით ამბობს: „ვფიქრობ, (თუმცა, ადრე არასოდეს მითქვამს), რომ ეს ალიოხინმა დაწერა". ბოტვინიკი საკუთარ მოსაზრებებს ამთავრებს გაუგებარი მოწოდებით — უმჯობესია, თავი შევიკავოთ განსჯისგან, დე, ამ დიდ მოჭადრაკეს დამსახურებისამებრ მიუზღოს ისტორიის სამსჯავრომო.

ახლა თვით ამ ავადსახსენებელ სტატიებს მივუბრუნდეთ, რომლებიც წარმოდგენილია სამ ნაწილად — ებრაული და არიული ჭადრაკი, არიული შეტევითი იდეა, ებრაული ჭადრაკი დამხობილია. ალიოხინის აზრით, ებრაული ჭადრაკის არსი დაცვითი იდეების ძიებაა, რასაც უპირისპირებს „არიულ შეტევით იდეებს". სტატიების ავტორი სხვადასხვა შეურაცხმყოფელი ეპითეტით მოიხსენიებს ებრაელ მოჭადრაკეთა მთელ პლეადას მსოფლიოს პირველ ჩემპიონ სტეინიციდან დაწყებულს და ლეგენდარული ლასკერით დამთავრებულს, შედარებით ახალგაზრდა თაობის ღირსეულ წარმომადგენელთა ჩათვლით — ამერიკელ ფაინს, რეშევსკისა და საბჭოთა მოჭადრაკეთა ლიდერს, ბოტვინიკს. სტატიების ავტორი რიტორიკული კითხვით მიმართავს მკითხველს — არის თუ არა ებრაელობა, როგორც რასა, ჭადრაკში ნიჭიერი? და იქვე აგრძელებს — დიახ, ძალზე ნიჭიერები არიან ჭადრაკის და, საზოგადოდ, საჭადრაკო აზროვნებისა თუ პრაქტიკულ შესაძლებლობათა გამოყენებაში, მაგრამ ნამდვილი ხელოვანი ჭადრაკში დღემდე არ ჰყოლიათო. ეს ნათქვამი შეეხებათ ალიოხინის მიერ მოხსენიებულ ებრაელ მოჭადრაკეებს — სტეინიცს, ლასკერს, იანოვსკის, კიზერიცკის, შლეხტერს, რუბინშტეინს, ნიმცოვიჩს, რეტის, მიზესს, შპილმანს, ფლორს, ფაინს, რეშევსკის, ბოტვინიკს... თუმცა, ბოტვინიკის მიმართ ალიოხინი ბევრად შემწყნარებელია. საინტერესოა „64"-ის რედაქციის ერთი შენიშვნაც — საკუთარი თეორიის არგუმენტირების მიზნით, ალიოხინი შეცდა, როცა კიზერიცკი და შლეხტერი ებრაელებად მიიჩნია.

მესამე სტატიაში ა. ალიოხინი ასახელებს იმ მოჭადრაკეებს (მორფი, ანდერსენი, ჩიგორინი, პილსბერი, მარშალი, კაპაბლანკა, ბოგოლიუბოვი, ეივე, კერესი, ელისკაზესი, მაროცი, ხარუზეკი, ვიდმარი), რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით უკანასკნელ ასწლეულში არიული საჭადრაკო იდეის დახვეწაში. ოდნავ ქვემოთ კი, მკითხველს სთავაზობს „ორიგინალურ" მოსაზრებას: ამერიკელი პილსბერი საჭადრაკო ასპარეზზე 5-6 წლით ადრე, რომ გამოსულიყო, ძნელი არ იქნებოდა მატჩის მოწყობა მისი და ამერიკაში მცხოვრები სტეინიცის მონაწილეობით. ალიოხინს პილსბერის გამარჯვებაში ეჭვი არც ეპარებოდა და დასძენდა: მეოთხედი საუკუნით ადრე გაგვათავისუფლებდა ებრაული ჭადრაკისგანო. შემდგომ, ე.წ. ებრაული ჭადრაკის გამოჩენილ წარმომადგენელთა — რუბინშტეინისა და ნიმცოვიჩის მიმართ ტენდენციურ, ერთობ დამამცირებელ მსჯელობას მოაყოლა დოქტორ ეივესთან დამარცხების ამბავი და საკუთარი, ყველასათვის მოულოდნელი მარცხი, რაც მიაწერა არა სპორტული რეჟიმის სისტემატურ დარღვევებს და მეტოქის შეუფასებლობას, არამედ ებრაელებით დაკომპლექტებულ საორგანიზაციო კომიტეტსა და სეკუნდანტ ლანდაუს — ჰოლანდიელ ოსტატს, წარმომავლობით ებრაელს, რომელმაც, ალიოხინის თქმით, ბედის ანაბარა მიატოვა.

Dr Aljechin

და ბოლოს, როგორც თავად აღნიშნავს, შურის გარეშე შეხვდებოდა ახალგაზრდათაგან კერესის ან ელისკაზესის მსოფლიო ჩემპიონობას. ალიოხინი იქვე მსჯელობს მათ შესახებ და რატომღაც უპირატესობას საშუალო შესაძლებლობის მოჭადრაკეს, ელისკაზესს ანიჭებს.

რა მოჰყვა ჭადრაკში მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონისთვის, დოქტორ ალექსანდრ ალიოხინისთვის ამ ანტისემიტურ სტატიებსა და ზოგიერთ სხვა გადაცდომას, რაც ნაცისტთა წისქვილზეასხამდა წყალს? პირველი — დასავლეთის მოჭადრაკეთა შორის აღშფოთება გამოიწვია ომის დროს ალიოხინის არასატურნირო გამოსვლებმა, არამედ ფაშისტური გერმანიის ტერიტორიასა (მიუნჰენი, 1941 წელი) და ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ ქალაქებში (ვარშავა, პრაღა, ზალცბურგი) გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობამ; მეორეც — როცა გერმანელ ფაშისტთა არმია მოსკოვთან იდგა 1941 წლის 3 ნოემბერს, ვარშავაში ალიოხინმა ორი საკონსულტაციო პარტია ითამაშა ყოფილ საბჭოთა ემიგრანტთან — ბოგოლიუბოვთან. მოგვიანებით, დადგინდა ალიოხინის მეწყვილეები — პირველ პარტიაში პოლონეთის პირსისხლიანი გაულაიტერი ფრანკი (ნიურნბერგის პროცესის ერთ-ერთი „გმირი"), ხოლო მეორე პარტიაში ვარშავის ფაშისტი გუბერნატორი — ფიშერი.

ყოველივე ამის შემდეგ, ალიოხინს ბრალი დასდეს პრონაცისტური პოზიციისა და შეხედულებების გამოთქმაში. მეორე მსოფლიოს ომის დასრულებისთანავე დასავლელ მოჭადრაკეთა ჯგუფმა ბოიკოტი გამოუცხადა მას. როგორ? — არ მიიწვიეს ჰასტინგსის ტრადიციულ საშობაო ტურნირზე, რომელიც 1945 წლის 28 დეკემბერს დაიწყო და დამთავრდა 1946 წლის 9 იანვარს, სადაც საფრანგეთის წარმომადგენელმა ტარტაკოვერმა გაიმარჯვა. მეორე ადგილზე გავიდა შვედი ექსტრიომი, მესამე-მეხუთე გაინაწილეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ეივემ, ამერიკის 1944 წლის ჩემპიონმა დენკერმა და მისმა თანამემამულემ სტეინერმა.

დამეთანხმებით, მსოფლიო ჩემპიონის მიწვევას ომის შემდგომ პირველსავე ტურნირზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ ა. ალიოხინისთვის გაცილებით მტკივნეული აღმოჩნდა 1946 წლის იანვარში ლონდონის საერთაშორისო ტურნირთან დაკავშირებული კოლიზიები. მაქს ეივეც ადასტურებს, რომ ალიოხინი მიიწვიეს ტურნირზე, მაგრამ მალე მიწვევა უკან გამოითხოვეს ცნობილ მოჭადრაკეთა პროტესტის გამო, რომელთა შორის იყვნენ დოქტორი ბერნშტეინი (საფრანგეთი), დოქტორი ლისტი (ინგლისი), დენკერი (აშშ).

ალიოხინის იზოლირება კვლავ გრძელდებოდა. გამოჩენილ ამერიკელ დიდოსტატ ფაინსს მოსაზრება წამოუყენებია, კალიფორნიაში (აშშ) ჩაეტარებინათ ექვსთა ტურნირი (კერესი, ფაინი, ბოტვინიკი, ეივე, რეშევსკი, სმისლოვი) მსოფლიო პირველობაზე, ალიოხინის გარეშე, რაც ფაქტობრივად, მისთვის, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის ჩამორთმევას ნიშნავდა.

მსოფლიოს პირველობაზე ალიოხინ-ბოტვინიკის მატჩის მომლოდინე საბჭოთა საჭადრაკო ფედერაციამ არ გაიზიარა ფაინის წინადადება. ამასობაში, 1946 წლის 24 მარტს (ზოგის შენიშვნით 25 მარტს) პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონთან მდებარე პატარა ქალაქ ეშტორილის სასტუმროში მოულოდნელად გარდაიცვალა 54 წლის მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონი ალექსანდრ ალიოხინი, რომელმაც პირველმა დაიბრუნა ჩემპიონობა. როგორც მოჭადრაკე, ამ ქვეყნიდან წავიდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით, მაგრამ როგორც მოქალაქე, მეორე მსოფლიო ომის დროს ცოდვებით დამძიმებული და ავტორიტეტშელახული.

გიორგი მახარაძე.

პანკრატიონი - ბრძოლა წესების გარეშე

მსოფლიოში მოფენილი საბრძოლო ხელოვნება პანკრატიონის ჩვენებურმა ფედერაციამ სპორტის სასახლეში შეკრიბა „წესების გარეშე" მებრძოლები და ნაკრების ჩამოსაყალიბებლად ერთმანეთთან აპაექრა.

5 წონად დაჯგუფებული ბიჭების უმრავლესობა პანკრატიონში მოვარჯიშენი იყვნენ — იაპონურ [illegible] წარმატებებს დაჩვეულებმა, თბილისში [illegible] თავის გამოჩინა.

65 კილოგრამიანებში პირველობა იზეიმა ახმეტელმა კუნფუისტმა გია ქეჟამე, 72-ში კი ყულას ზუგდიდელმა „ქური მოჩხუბარმა" თამაზ კორკელიამ ახდა. პანკრატიონებმა იმარჯვეს 90 კილოგრამ და მძიმე წონებში. დიმიტრი გოგოლაძემ და დავით შელიძემ ჩემპიონობამდე მოქიდეებაა და მოგერიეები ჩამოიცილეს. ყველაზე დიდი აღფრთოვანება მაყურებლებში გამოიწვია რუსთაველი ძმების იაგო და სოსო ახალკაცების ფინალურმა ორთაბრძოლამ (80 კგ). ცხადია, [illegible] ნაკლები გამეტებით [illegible] ერთმანეთს, მაგრამ გამარჯვებული ხომ უნდა გამოვლენილიყო? ჰოდა, ჩხუბი მაინც შედგა და პირველობისთვის [illegible] ახალკაცმა მოიპოვა.

ორგანიზატორების განცხადებით, ამ დღეში გამარჯვებულები ოდესაში ჩავლენ და საქართველოს ნაკრების სახელით უკრაინელ მებრძოლებს შეებმებიან.

ლაშა გოგია.

ფეხბურთი რასიზმის გარეშე

რუბრიკას
უძღვება
ვეტერანი
მსაჯი
ელდარ
ჩიფჩიური

საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის 80 წლისთავისათვის

მოედანზე საკუთარი ხელწერით გამოირჩეოდა

როგორც ფეხბურთელები, ისე მსაჯები, საფეხბურთო მოედანზე თავისი, სხვისგან გამორჩეული ხელწერით ხასიათდებიან. მანერით, ჟესტით, მსაჯობის მეთოდით ერთმანეთს არ გვანან. ერთნი უფრო ემოციურნი არიან და სიმკაცრის გამოხატვით ცდილობენ ფეხბურთელების მოთოკვას. მეორენი, პირიქით, წყნარად, ფეხბურთელებთან ახლო კონტაქტით, უკომპრომისოდ უძღვებიან მატჩს. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მეორე მეთოდი უფრო გამართლებული და მიზანშეწონილია.

სწორედ ასეთი მიმართულების მიმდევართა მსაჯთა რიცხვს მიეკუთვნება **ვლადიმერ ეჯიბია.** მისი დინჯი, გაწონასწორებული და ალღოიანი შესაშური თავდაჭერა საფეხბურთო მოედანზე, როგორც ფეხბურთელებში, ისე მაყურებლებში ყოველთვის მისდამი განსაკუთრებული სიმპათიას იმსახურებდა. ამიტომაც ფეხბურთელები მისი სასტვენის ხმას ყოველთვის უხმოდ, შეკამათების გარეშე ემორჩილებოდნენ.

ვოვა ეჯიბია (შუაში)

ვოვა ეჯიბიამ მსაჯობა სამოციან წლებში დაიწყო. წესისამებრ, როგორც მაშინ იყო მიღებული, ნათლობა თბილისის მსაჯთა კოლეგიაში მიიღო. აქ დაეუფლა მსაჯობის თეორიას და პრაქტიკაც პირველად აქ შედგა. ორი წლის შემდეგ რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიაში გადაინაცვლა. მრავალი თაობის აღმზრდელს, მაშინდელი ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეს ვარლამ (ჯონდო) შავდიას ახალგაზრდა მსაჯის კვალიფიციური მსაჯობა მხედველობიდან არ გამორჩენია. სწორედ მან ითამაშა მთავარი როლი არბიტრად შემდგომში მის სრულყოფა-ჩამოყალიბებაში. მას შემდეგ თითქმის ორმოცი წელი გავიდა. ვოვა იმ მსაჯთა ოჯახსაც მიეკუთვნება, რომლებიც ხანდაზმულობამდე (მსაჯობისთვის განსაზღვრული ასაკი მაქვს მხედველობაში) ერთგულად ემსახურნენ საქართველოს და საკავშირო პირველობების მატჩებს. გაძღოლილი თამაშების რაოდენობას კი ვინ ჩამოთვლის. არაერთხელ იყო დასახელებული საქართველოს საუკეთესო მსაჯთა ათეულში. როგორც ჩვენი, ისე საკავშირო მსაჯთა კოლეგიის მიერ მიღებული აქვს მრავალი მადლობა და სიგელი. წლების განმავლობაში ითვლებოდა ერთ-ერთ წამყვან მსაჯად. მეგობრობაში სამაგალითოდ აღიარებული, ყველასთან კეთილგანწყობილი, დიდბუნებოვანი კაცი დღესაც ალალმართლად ემსახურება ოთხი ათეული წლის წინ დაწყებულ საქმეს.

დედაქალაქის თელასის თანამშრომელი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო ასოციაციის ინსპექტორი ვლადიმერ ეჯიბია კვლავაც ყოველთვის მზადაა დავალებების შესასრულებლად.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფეხბურთელს გია ჩარკვიანს დედის გარდაცვალების გამო.

ახალი თაობის ფეხბურთელები

ფეხბურთელმა შეიძლება საკუთარ ქორწილშიც დააგვიანოს

რატი ალექსიძე – დაიბადა 1978 წლის 3 აგვისტოს, თბილისში. ფეხბურთის თამაში შვიდი წლისამ დაიწყო. მწვრთნელი, რომელმაც მის საფეხბურთო კარიერაში დიდ როლი შეასრულა, რამაზ მუმლაძე იყო. თამაშობდა ლონდონის „ჩელსიში", ამჟამად, კვლავ „დინამოს" დაუბრუნდა, თუმცა, შეიძლება, მალე მისი დატოვება მოუხდეს, თუ სად წავა, ჯერ არაა გადაწყვეტილი. პირველ წარმატებას „დინამო" – „ემპეკაცე მოზერის" თამაშზე მიაღწია. შეცვლაზე შემოსულმა გოლიც კი გაიტანა, მაშინ თბილისურ გუნდს დავით ყიფიანი წვრთნიდა. არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ასევე ინგლისისა და საქართველოს თასის მფლობელი. ჰყავს მეუღლე და ვაჟი.

● ***რატი, როგორ გაიხსენებდი შენს განვლილ გზას?***

— ჩემი საფეხბურთო კარიერა წარმატებული იყო. სულ მონდომებით ვთამაშობდი. ალბათ იმიტომ, რომ უფეხბურთოდ ვერ წარმომედგინა ჩემი თავი. რასაკვირველია, ახლაც ისეთი შემართებით ვთამაშობ, როგორც საჭიროა.

● ***თვლი, რომ ეს გზა რთული იყო?***

— ფეხბურთში ყოველთვის სირთულეებს უნდა ელოდო. თუმცა ეს საერთოდ სპორტის ყველა სახეობაზე ითქმის.

● ***ორი წლის მანძილზე ირიცხებოდი ინგლისის „ჩელსიში". როგორ გაიხსენებ არისტოკრატთა გუნდში გატარებულ პერიოდს?***

— „ჩელსიში" მართლაც ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ ცუდი ის იყო, რომ უმეტესად სათადარიგო სკამზე ვიჯექი. ალბათ, ძირითადში რომ მეთამაშა, უკეთ დავიხვეწებოდი. ეგ კია, გუნდს სხვადასხვა ქალაქებში დავყვებოდი და მატჩებს ვადევნებდი თვალს. ჩემთვის ესეც დიდი გაკვეთილი იყო.

● ***უცხო ქვეყანაში და გუნდში ალბათ, სირთულეებსაც წააწყდებოდი...***

— რა თქმა უნდა. თავიდან ძალიან გამიჭირდა. ყოველდღე დიდი დატვირთვით ვვარჯიშობდი, ეს, ცხადია, ძნელი იყო, შემდეგ შევეგუე.

● ***კონკურენციაც დიდი იყო?***

— თანაც როგორი, მაგრამ ამავე დროს ეს იყო სტიმული გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად.

● ***ამჟამად, „ჩელსი" დიდ წარმატებებს აღწევს...***

— ძალიან მიხარია. თითქმის ყველა მათ თამაშს ვუყურებ. მართლაც მეამაყება, რომ ერთ დროს ასეთ გუნდში ვთამაშობდი.

● ***პროფესიის მიღმა როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა ნისლიან ალბიონზე?***

— არაჩვეულებრივი. ვფიქრობ, ინგლისზე უკეთესი ადგილი არ არსებობს ევროპაში. ალბათ, ამას იმიტომ ვამბობ, რომ იქ ორი დაუვიწყარი წელი გავატარე. თუ სადმე საინტერესო ადგილი იყო, ყველაფერი ვნახე. მოკლედ, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამრჩა ალბიონზე.

● ***ჩვენი ეროვნული ნაკრები ერთ-ერთ საინტერესო და რთულ ჯგუფში აღმოჩნდა. შენ როგორც ნაკრების მოთამაშე, რას ფიქრობ კენჭისყრის შედეგებზე?***

— მართალი ხარ. არც ისე იოლი შეხვედრები გველის. რაც მთავარია, ახლა უფრო დიდი იმედი გვაქვს ყველას, ვიდრე ადრე გვქონდა, შანსიც დიდია.

● ***„დინამოსთან" მალე ამოიწურება შენი კონტრაქტი, არის თუ არა რაიმე კონკრეტული შემოთავაზებები?***

— როგორ არა, მაგრამ ვნახოთ, დრო მაქვს და უნდა მოვიფიქრო.

● ***თუ „დინამო" შემოგთავაზებს კვლავ მათთან დარჩენას...***

— სიამოვნებით დავთანხმდები.

● ***მართალია, ინგლისში გამოსვლით სახელი გაითქვი, მაგრამ „დინამოში" ყოფნისას ქართველმა გულშემატკივრებმა, განსაკუთრებით კი ბავშვებმა, გულით შეგიყვარეს. თუ გსიამოვნებს ზედმეტი ყურადღება?***

— ყურადღება ყველას სიამოვნებს. პატარა მეც ვიყავი და მყავდა ჩემი რჩეული ფეხბურთელები. მაგალითად, შოთა და აჩი არველაძეები, გიორგი კინკლაძე. ასე რომ, მსიამოვნებს, როდესაც პატარები ჩემზე ამბობენ, რატისნაირი მინდა გამოვიდეო. ეს ძალას მმატებს, რომ კიდევ დიდხანს დავრჩე ფეხბურთში.

● ***გულახდილად მითხარი, როგორი პიროვნებაა გულშემატკივართა რჩეული?***

— ძნელია საკუთარ თავზე ისაუბრო. სჯობს ჩემს მეგობრებს დაეკითხოთ...

● ***რა მოგწონს და რა არა საკუთარ თავში?***

— მაპატიე, ჩემს ხასიათზე ლაპარაკს ნამდვილად ვერ დავიწყებ, შორს წაგვიყვანს.

● ***ჰოროსკოპით ლომი ხარ, იქნებ ხასიათით ჰგავხართ კიდეც ლომს. მაგალითად, ხართ თუ არა მბრძანებლური, ყველას რომ ზევიდან დაჰყურებს და ჩაგრავს...***

— როგორ გგონია, ასეთი ვარ? თან ლომი ფიცხია, მე კი სულაც არა ვარ ისეთი, რაც ჩემს ჰოროსკოპს ახასიათებს.

● ***ესე იგი, როგორი ხარ?***

— უფრო თავმდაბალი და მოსიყვარულე ადამიანი ვარ.

● ***ხომ ხედავ შენ თავზე მაინც თქვი რაღაც...***

— სიტყვამ მოიტანა (იცინის).

● ***რამ შეიძლება ცუდ ხასიათზე დაგაყენოს?***

— თამაშს როცა ვაგებთ, მეორე დღეს ისეთ საშინელ ხასიათზე ვარ, რომ მტრისას, ვერავინ დამელაპარაკება.

● ***მე როგორც ვიცი, საკუთარ ქორწილზე დაიგვიანე...***

— მართალი ხარ, და იცი რატომ მოხდა?

● ***შენგან მინდა გავიგო...***

— ნაკრების თამაში იყო „ლოკომოტივის" სტადიონზე, რომელიც 11 საათზე იწყებოდა, შესაბამისად გვიან დამთავრდა. მაშინვე გამოვიცვალე ტანსაცმელი და ქორწილში გავქანდი. იქნებოდა დაახლოებით 2 საათი, ხელი მოვაწერეთ და წავედით რესტორან „საარაჯიშვილში". კარგად ვერც ვიქეიფე, რადგან დილის 6 საათზე ინგლისში მივფრინავდი.

● ***მეუღლესთან ერთად?***

— არა, მარტო (იცინის).

● ***ძნელი ხომ არ არის იყო პოლიტიკოსის (ნესტან კირთაძე - ლ.ჭ.) სიძე?***

— მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა არ მიყვარს, ძნელი სულაც არ არის. ცუდი რატომ უნდა იყოს თანაც, ჩემნაირი სიდედრი არავის ჰყავს.

● ***როგორია პატარა თემიკო. ხომ არ გაბრაზებს?***

— უკვე ორი წლის არის და ისეთი გაცელქებულია, არ ვიცი რა დააჭკვიანებს. სიმღერა ძალიან უყვარს, შინ თუ ქუჩაში, რომ უთხრა იმღერეო, არავისი შერცხვება.

● ***შენ როგორი დამოკიდებულება გაქვს სიმღერასთან?***

— მართალია, დედას ბავშვობაში დავყავდი გიტარაზე, მაგრამ ხომ ხედავ, კი არ ვმღერი, ბურთს ვაგორებ.

● ***სცენაზე დგომა არ მოგწონდა?***

— როგორ არა, მაგრამ მომღერლობას ნამდვილად არ ვაპირებ. დარჩენილი ცხოვრებაც ფეხბურთს უნდა შევალიო.

● ***საქართველოს გარდა, რომელ ქვეყანაში ისურვებდი ცხოვრებას?***

— მხოლოდ ინგლისში.

● ***ალბათ, ახალ წელსაც ინგლისში შეხვდები...***

— ვნახოთ, არ არის გამორიცხული. თუ რა თქმა უნდა, რაიმე პრობლემა არ შემექმნა.

● ***თავისუფალ დროს კინოთეატრებს თუ სტუმრობ?***

— რასაკვირველია. ძირითადად „ამირანში" დავდივარ. ხანდახან მეგობრებთან ერთად ვატარებ დროს.

● ***შანსი რომ მოგეცეს, ცხოვრება ახლიდან დაიწყო, რა გზას აირჩევდი?***

— ისევ ფეხბურთს.

● ***ცხოვრებაში რა გაძლევს სტიმულს?***

— მხოლოდ ჩემი შვილი.

ესაუბრა ლელა ჭანკოტაძე.

საქართველოში რასიზმი არ ყოფილა და არც არასოდეს გამოვლინდება!

ფინტების მეფე

ახლახან „ლელოში“ (№88) გამოქვეყნებულ წერილში მოგვყავდა ის ძირითადი მიზეზი თუ რატომ ვერ მიიღო მონაწილეობა ედუარდ სტრელცოვმა 1963 წლის ე.წ. „საუკუნის მატჩში“.

ამჟამად გვინდა ვისაუბროთ მიხეილ მესხზე, თუ როგორი ზეწოლა, შევიწროება, იგნორირება და დისკრიმინაცია მოახდინეს მასზე, რომ მონაწილეობა არ მიეღო „საუკუნის მატჩში“, რომ საერთოდ, მისი გამოსვლები საფეხბურთო მინდვრებზე ეკლიანი ყოფილიყო...

როდესაც 1958 წლის შვეციის მსოფლიო ჩემპიონატის საბოლოო შედეგებს აანალიზებდა, ცნობილმა საბჭოთა სპორტულმა ჟურნალისტმა ალექსანდრ ვიტმა წინასწარმეტყველური პროგნოზი გააკეთა: ,,მომავალში ჩვენ უნდა ველოდოთ საბჭოთა გარინჩას არა ნევის, არამედ მტკვრის ნაპირებიდან''.

ბუნებრივია, აღიძვრება კითხვა, — რატომ ახსენა ა. ვიტმა მაინცდამაინც მდინარე ნევა და არა მოსკოვი-მდინარე, მდინარე დნეპრი და ა.შ.? პასუხი გასაგებია, — შვეციაში საბჭოთა ნაკრების მარჯვენა გარემარბად ათამაშეს ლენინგრადის ,,ზენიტის'' მარცხენა გარემარბი ალექსანდრ ივანოვი.

ალექსანდრ ვიტის წინასწარმეტყველება სულ მალე, ერთ წელიწადში ახდა. 1959 წლის 6 სექტემბერს საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ვიხილეთ მიხეილ მესხი. სწორედ მაშინ, მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე მასპინძლები შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს. ეს თამაში საბჭოთა ნაკრებმა 3-1 მოიგო. ამ შეხვედრაში სტუმართა კარში მეორე ბურთი უძლიერესი დარტყმით მიხეილ მესხმა გაიტანა. შემდგომში მ. მესხი დრიბლინგისა და ფინტების წყალობით გავიდა მინდვრის მარცხენა ფრთაზე, ზუსტად გადააწოდა ბურთი ვალენტინ ივანოვს და მან თავური დარტყმით მესამე ბურთი შეაგდო სტუმართა კარში. მ. მესხის თამაშით აღფრთოვანებული გულშემატკივრები ფეხზე ამდგარი დიდხანს სკანდირებდნენ: ,,მესხი! მესხი! მესხი!''

აი, რას წერდა მეორე დღეს გაზეთი ,,სოვეტსკი სპორტი'': ,,...მესხი ამ მატჩის საუკეთესო თავდამსხმელი იყო და გულშემატკივრები მადლობას უხდიდნენ იმ სიამოვნებისათვის, რაც მან თავისი ვირტუოზული თამაშით მათ მიანიჭა''...

1959 წლის 27 სექტემბერს საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში უკვე მეორედ ითამაშა მიხეილ მესხმა. ეს მოხდა ბუდაპეშტში, როდესაც საბჭოთა გუნდი უნგრეთის ნაკრებს შეხვდა და გაიმარჯვა 1-0. მატჩის შემდეგ განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მიხეილ მესხის ბრწყინვალე თამაშს.

საერთაშორისო არენაზე მიშა მესხის პირველივე გამოსვლამ თავზარი დასცა ფეხბურთის ცნობილ სპეციალისტებს. მან უამრავი თავსატეხისა და გადაუწყვეტელი პრობლემების წინაშე დააყენა არა მარტო მოწინააღმდეგე გუნდების ფეხბურთელები, არამედ მათი მწვრთნელებიც. ისინი კონკრეტულს ვერაფერს უპირისპირებდნენ მიშა მესხის თავბრუდამხვევ, კასკადურ ფინტებს, გარდა ყოვლადდაუშვებელი, ძალისმიერი, უხეში და არარაინდული თამაშისა.

1960 წლის 19 მაისს, მოსკოვში საბჭოთა ნაკრებმა ჩაატარა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა პოლონეთის ნაკრებთან და გაიმარჯვა გამანადგურებელი ანგარიშით 7-1. საერთო აზრით, ამ თამაშის პირველი ნახევარი მოიგო სლავა მეტრეველმა, მეორე — მიხეილ მესხმა.

ამ მატჩს სპეციალურად ესწრებოდა მადრიდის ,,რეალისა'' და ესპანეთის ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი ელენიო ერერა. თამაშის დამთავრების შემდეგ, მან განსაკუთრებით აღნიშნა საბჭოთა ნაკრების ,,ქართული ფრთების'' — სლავა მეტრეველისა და მიხეილ მესხის ვირტუოზული თამაში.

პოლონელებთან შეხვედრის შემდეგ საბჭოთა ნაკრებს ელოდა ოფიციალური მეოთხედფინალური შეხვედრა ევროპის თასზე ესპანეთის ნაკრებთან, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელების თამაშიდან გამომდინარე შთაბეჭდილებანი იმდენად მოულოდნელი და სენსაციური იყო, რომ ესპანეთის დიქტატორმა ფრანკომ პოლიტიკური მოტივებით ჩაშალა ორი ქვეყნის ფეხბურთელთა შეხვედრები როგორც მოსკოვში, ისე მადრიდში.

1960 წლის 6 ივლისს მარსელში გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრა ევროპის თასზე საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებებს შორის, რომელიც საბჭოთ ფეხბურთელების გამარჯვებით 3-0 დამთავრდა.

ოთხი დღის შემდეგ, 10 ივლისს შედგა გადამწყვეტი ფინალური მატჩი საბჭოთა და იუგოსლავიის ნაკრებებს შორის. ამ შეხვედრის პერიპეტიების დაწვრილებით აღწერას არ შევუდგებით, მაგრამ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ პირველი ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე იუგოსლაველმა გალიჩმა გახსნა ანგარიში 1-0. თამაშის მეორე ტაიმში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბუბუკინ-მესხის ტანდემი. 51-ე წუთზე სლავა მეტრეველმა მიუსწრო ბუბუკინის მიერ ჩაწოდებულ ბურთს და ძლიერი დარტყმით ანგარიში 1-1 გახდა. თამაშისთვის განკუთვნილი ძირითადი დრო ისე ამოიწურა, რომ ეს ანგარიში არ შეცვლილა, დაინიშნა დამატებითი 30 წუთი.

აი, როგორ აღწერს ვიქტორ პონედელნიკი ფინალური მატჩის იმ მომენტს, როდესაც მან დამატებითი დროის მიწურულს გაიტანა გამარჯვების გოლი იუგოსლაველთა კარში: ,,...ბურთი აქვს ვალენტინ ბუბუკინს, იგი აწოდებს მიშა მესხს, რომელიც თავბრუდამხვევი ფინტებით გვერდს უვლის იუგოსლაველთა მცველებს. ამ დროს მე გავრბივარ იუგოსლაველთა კარისკენ და მიშა ძლიერად აწოდებს ბურთს ჩემსკენ. ბურთი მხვდება თავზე. მე ძირს ვეცემი იმის შიშით, რომ ბურთი კარებს ასცდა. მინდორზე უძრავად ვწევარ და მესმის ტრიბუნების გამაყრუებელი ყიჟინა. თვალებს ვახელ და ვხედავ ბურთი ბადეშია, ხოლო ჩვენი ფეხბურთელები მიშას ეხვევიან და კოცნიან''. ეს მოხდა თამაშის 113-ე წუთზე. სულ მალე გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა, რომელმაც ყველას აუწყა საბჭოთა ნაკრების გამარჯვება ანგარიშით 2-1.

საბჭოთა გუნდს გადაეცა ევროპის თასი, ხოლო ფეხბურთელები ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ.

1960 წლის 31 ოქტომბერს მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საკავშირო თასის ფინალური მატჩი მოსკოვის ,,ტორპედოსა'' და თბილისის ,,დინამოს'' შორის. ქართველი ფეხბურთელებისთვის ეს იყო თასის მოპოვებისთვის მეოთხე მცდელობა. მანამდე თბილისელები სამჯერ იყვნენ თასის გათამაშების ფინალში, მაგრამ სამივეჯერ ხელმოცარულები დარჩნენ.

მეოთხე ფინალური თამაში ძალზე დასამახსოვრებელი დარჩა მრავალი გულშემატკივრისთვის, ძირითადად მატჩის მთავარი არბიტრის ა. ცაპოვეცკის ყოვლად არაობიექტური და ტენდენციური მსაჯობის წყალობით. რისთვის მოხვდა ეს კაცი და რა სპეციალური დავალება მისცეს მას, ეს ყველაფერი თამაშის მსვლელობის დროს გამოჩნდა. მოსკოველი ფეხბურთელები ძალზე აგრესიულად ეთამაშებოდნენ მ. მესხს. მას ფეხს უდებდნენ, ახევდნენ მაისურს, აქცევდნენ საჯარიმო მოედანზე და ა. შ. მაგრამ ა. ცაპოვეცკის სასტვენი დუმდა. ასეთ შემთხვევაზე ამბობენ: ,,მავრმა თავისი საქმე გააკეთა''. საერთოდ, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ცაპოვეცკის არც ამ მატჩამდე და არც შემდეგ უმაღლესი ლიგის გუნდების მონაწილეობით არც ერთი მატჩი არ უმსაჯია. თამაშის მეორე დღეს გაზეთი ,,პრავდა'' წერდა: ,,...ასეთი საპასუხისმგებლო შეხვედრისას სასურველი იქნებოდა უფრო გამოცდილი მსაჯის დანიშვნა''. აქ კომენტარები ზედმეტია.

გვინდა გავიხსენოთ 1961 წელი, როდესაც ბუენოს-აირესში არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოვიდა მიხეილ მესხი. არგენტინის ნაკრების კაპიტანმა, მსოფლიოში განთქმულმა მცველმა — სიმეონემ თამაშის წინ ოფიციალურად განაცხადა, რომ ის მესხს ფეხს არ გაანძრევინებდა და თამაშს არგენტინის ნაკრები მოიგებდა, მაგრამ დაიწყო თამაში და მიშამ ფეხბურთის კორიანტელი დააყენა. მას არა მარტო სიმეონე დასდევდა, არამედ არგენტინის ყველა მცველი და მაინც ვერ შეძლეს მისი ,,დაჭერა''. იგი სულ მოწინააღმდეგის კარისკენ მიიჭრებოდა. ეს მატჩი საბჭოთა ნაკრებმა მიშას უბრწყინვალესი თამაშით მოიგო — 2-1.

არგენტინის პრესა აჭრელებული იყო მ. მესხის ფოტოსურათებით, სათამაშო კადრებით და აღნიშნავდნენ მის ვირტუოზობასა და ფილიგრანულ ტექნიკას, თამაშის კულტურასა და ინტელექტუალობას. არგენტინელებმა მიშა 500 მილიონ პესოდ შეაფასეს. იმ დროისათვის ამ ფასად მსოფლიოში არც ერთი გამოჩენილი ფეხბურთელი არ შეფასებულა.

1962 წელს ჩილეში გამართულ VII მსოფლიო ჩემპიონატში მიხეილ მესხმა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში 3 თამაშში მიიღო მონაწილეობა — ქვეჯგუფში იუგოსლავიასთან (2-0), და კოლუმბიასთან (4-4). ერთი თამაში კი მეოთხედფინალში ჩილესთან (1-2).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შედგენილი მსოფლიოს იდეალური ნაკრები ასე გამოიყურებოდა: ვ. შროიფი (ჩეხოსლოვაკია), ჯ. სანტოსი (ბრაზილია), რ. სანჩესი (ჩილე), კ. შლელინგერი (გფრ), ზიტო (ბრაზილია), ე. როხასი (ჩილე), გარინჩა (ბრაზილია), ხ. ტორო (ჩილე), უ. ზეელერი (გფრ), პელე (ბრაზილია), მ. მესხი (საბჭოთა კავშირი). ეს იყო მიხეილ მესხის დამსახურებული აღიარება და უდიდესი დამსახურება, რომ ის სამართლიანად მოხვდა უბრწყინვალეს ფეხბურთელთა შორის.

ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზე კოლუმბიის ნაკრებთან თამაშის ფრედ 4-4 დამთავრების შემდეგ მეკარე ლევ იაშინის მისამართით ბრალდებების ნიაღვარი წამოვიდა. რომ ისაა დამნაშავე ოთხივე გაშვებული ბურთის გამო. აი, რას წერს იაშინის მისამართით ნიკიტა სიმონიანი თავის წიგნში — ,,ფეხბურთი განა მარტო თამაშია?!'' ,,...მწვრთნელებმა მას ალმაცერად დაუწყეს ყურება: ღირს ნაკრების კარი მას ვანდოთ? გულშემატკივრები მასზე განრისხებული იყვნენ, სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია და დაიწყეს ძახილი: ,,იაშინი მინდვრიდან! იაშინი საპონზე! იაშინი პენსიაზე!'' როცა ის ბურთს აიღებდა, იცავდა რა ,,დინამოელთა'' კარს, გაისმოდა სუსტი და გესლიანი ტაში — უყურეთ ერთი, მას კიდევ რაღაც შეუძლია, ის ცდილობს... ძნელია კიდეც ივარაუდო, რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს, მაგრამ ამ დროს იაშინი მიიწვიეს მსოფლიო ნაკრებისა და ინგლისის ნაკრების მატჩზე... ის ისე იდგა კარში, ისეთ ბურთებს იღებდა, რომ სტადიონი გუგუნებდა, აღტაცებისაგან კვნესოდა...'' სწორედ ლონდონის ,,უემბლის'' სტადიონზე გამოსვლის შემდეგ დაიწყო იაშინის რეაბილიტაცია, და ეს მოხდა მიხეილ მესხის ხარჯზე. თუ სამართლიანი ვიქნებით, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ 1963 წლს 23 ოქტომბერს ლონდონის ,,უემბლის'' სტადიონზე ჩატარებულ ,,საუკუნის მატჩში'' ფიფას მიერ ოფიციალური და პერსონალური მიწვევა მიიღო მიხეილ მესხმა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა ფეხბურთის მაშინდელმა ვაი-ხელმძღვანელებმა მეოცე საუკუნის ყველაზე საინტერესო, დასამახსოვრებელ, საზეიმო და მთავარ მატჩში ქართველი მიხეილ მესხის მონაწილეობას ,,ვეტო'' დაადო. ამ შოვინისტურ აქციაში განსაკუთრებული როლი მიუძღოდათ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის მაშინდელ თავმჯდომარეს ვ. გრანატკინს და საკავშირო ნაკრების მაშინდელ მწვრთნელს კ. ბესკოვს. ეს იყო პოლიტიკური დისკრიმინაცია არა მარტო პირადად მიხეილ მესხისადი, არამედ მთელი ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული მტრული აქცია. არადა, ეს ის დრო იყო, როდესაც საფრანგეთის გაზეთმა ,,ფრანს ფუტბოლმა'' გამოაქვეყნა ცნობილი სპორტული ჟურნალისტის გაბრიელ ანოს სტატია სათაურით ,,ჰენტო თუ მესხი''?! გაბრიელ ანო თავის სტატიაში ჩვენს მიხეილ მესხს ჰენტოზე მაღლა აყენებდა. მადრიდის ,,რეალისა'' და ესპანეთის ნაკრების მარცხენა გარემარბმა ჰენტომ კი, როგორც ცნობილია, მონაწილეობა მიიღო ,,საუკუნის მატჩში''.

მიხეილ მესხზე გრძელდებოდა სხვადასხვა სახის შევიწროება, პირველ რიგში კი დაიწყეს მისი ფსიქოლოგიურად დამუშავება. ჯერ იყო და კ. ბესკოვმა 1964 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჰუსეინოვი ათამაშა, ხოლო შემდეგ ნ. მოროზოვმა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მ. მესხის ნაცვლად პარკუიანი წაიყვანა...

მიშა მესხი იყო მსოფლიოში ერთადერთი მარცხენა გარემარბი, რომლის თამაშისას მრავალრიცხოვანი მაყურებელი, აღგზნებული და ექსტაზში მოსული მისი ფინტებითა და ელვისებური გარღვევებით, თამაშის პირველ ნახევარში იკრიბებოდა სტადიონის ტრიბუნების იმ მხარეს, სადაც მიშა ბობოქრობდა, ხოლო თამაშის მეორე ნახევარში ყველას სურდა გადასულიყო ტრიბუნების მეორე მხარეს, სადაც მ. მესხი თავის ,,საქმეს'' გააგრძელებდა.

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს რომელიმე ცნობილი ფეხბურთელის ფინტები გადაეღოთ კინო ან ფოტოფირზე და მათი ილუსტრირება მოეხდინათ. ეს გააკეთა ცნობილმა ფოტოჟურნალისტმა მიხეილ ზარგარიანმა (,,ლელო'') და გამოაქვეყნა ჟურნალ ,,სპორტივნიე იგრიში'', რომლის მთავარი რედაქტორი იმ დროს იყო ალექსანდრ კიტი. მ. მესხის ფინტების ფოტოსერიალს, სათაურით — ,,მესხის ფინტები'', ჟურნალმა მთელი ორი გვერდი დაუთმო. ეს იყო მეთოდური სასწავლო-საჩვენებელი ფოტოკადრები, თანმიმდევრული ჩვენებით. მას შემდეგ. 40 წელი გავიდა, მაგრამ ჯერჯერობით ამ უნიკალური ფოტოკადრებით ვერავინ ისწავლა მ. მესხის განუმეორებელი ფინტები და ისინი განუხორციელებელ ოცნებად რჩება...

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ყველა მწვრთნელებიდან, პირველ რიგში თბილისის ,,დინამოში'', ხოლო შემდეგ საბჭოთა ნაკრებში, შესანიშნავად გაუგეს, აფასებდნენ და წყალობდნენ მ. მესხს ანდრო ჟორდანია და გავრილ კაჩალინი. მაგრამ იყვნენ ისეთები, რომლებმაც გადაწყვიტეს მიშას ,,კულტურული'' გაცილება დიდი ფეხბურთიდან. ეს მოხდა 1969 წლის 16 ივლისს, თბილისში, ურუგვაის ,,ნაციონალთან'' შეხვედრის დროს, მ. მესხმა მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა. საკმარისია გავიხსენოთ ურუგვაელთა მწვრთნელის მორეირას აზრი, რომელმაც თავისი შეხედულება შემდეგი სიტყვებით გამოხატა: ,,თქვენ ძალზე მდიდრები ყოფილხართ, ასეთ ფეხბურთელს რომ ელევით''. მაშინ მიხეილ მესხი 32 წლის იყო და მისი სპორტული ფორმა ზენიტში იყო. ის თავისი ნებით არ წასულა, აიძულეს, რომ წასულიყო. და ის წავიდა ვაჟკაცურად, რომ ხალხს ყოველთვის ენატრებოდეს და ოცნებობდეს მიშას ფეხბურთზე, მის ფინტებზე და არტისტიზმზე.

მიხეილ მესხი 54 წლის იყო, როდესაც ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან, მაგრამ მისი სახელი ყოველთვის დარჩება, როგორც უნიკალური, განუმეორებელი, ჯერარნახული ფეხბურთელისა, როგორიც საუკუნეში იშვიათად იბადება.

ზურამ ჩხიკვაძე.

თქვენთვის ფეხბურთის ერუდიტებო!

1. ფოტოზე აღბეჭდილია ამერიკელი ფეხბურთელი ქალი. მიღწევები: 1991, 1995, 1999 წლების მსოფლიო ჩემპიონი, 2000 წელს სიდნეიში ოლიმპიურ ტურნირში ვერცხლის მედლის მფლობელი. 2001 და 2002 წელს აღიარეს მსოფლიოში №1 ფეხბურთელად ქალთა შორის. 229 მატჩში გაიტანა 137 გოლი. ვინაა იგი?

2. ფოტოზე აღბეჭდილია ფეხბურთელი, რომლის კარიერა დაიწყო ჰოლანდიაში 1969 წლიდან. ითამაშა: 1997-1988 წ.წ. — ამსტერდამის „აიაქსში“, 1988 წ. „რეალ სარაგოსაში“, 1988 — 1993 წლებში — „მილანში“, 1993-1995 წლებში — კვლავ „აიაქსში“. ვინაა იგი?

„ლელოს“ 97-ე ნომერში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები:

1. ფოტოზე აღბეჭდილია ცნობილი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი.
2. ფოტოზე აღბეჭდილია ინგლისელი მწვრთნელი ბობი რობსონი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

იაპ სტამი სიმბოლურ ნაკრებს ასახელებს

ცნობილია, რომ რამდენიმე დღეში უეფას ოფიციალური საიტი გამოაქვეყნებს 2003 წლის სიმბოლურ ნაკრებს. ასეთი გუნდის წევრობის ერთ-ერთმა კანდიდატმა „ლაციოში“ მოთამაშე იაპ სტამმა საკუთარი ვერსია დაასახელა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

მეკარე: ჯან-ლუიჯი ბუფონი. იტალიის სერია „ა“-ში არაერთი დიდი ტალანტის მქონე გოლკიპერია, მაგრამ ვფიქრობ, „იუვენტუსის“ კარის დარაჯი წელს საუკეთესო იყო.

მარჯვენა მცველი: ლილიან ტიურამი. მას წლევანდელი სეზონი კარგად გამოუვიდა, როგორც „იუვენტუსის“, ასევე საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში.

მარცხენა მცველი: რობერტო კარლოსი. ამ პოზიციაზე რობერტო კარლოსი მსოფლიოში საუკეთესოა. მასზე უკეთეს ფეხბურთელს მე ჯერ ვერ ვხედავ.

ცენტრალური მცველი: პაოლო მალდინი. „მილანის“ კაპიტნის გამოცდილება და საიმედოობა მას პირველ ადგილზე აყენებს მსოფლიოს ყველა დროის მცველებს შორის.

კარლო ანჩელოტი

ცენტრალური მცველი: იაპ სტამი. გაგიკვირდათ არა, რაკი მე კანდიდატი ვარ უეფასეული სიმბოლური ნაკრებისა, ამ ვერსიაშიც საკუთარ თავს წარვადგენ. ვფიქრობ, ეს სეზონი ცუდად არ მითამაშია.

მარჯვენა ნახევარმცველი: ენდი ვან დერ მეიდე. ჰოლანდიელი მალე გაუშინაურდა „ინტერს“ და უკვე პოპულარულიც გახდა იტალიაში.

ცენტრალური ნახევარმცველი: ედგარ დავიდსი. ედგარი „იუვენტუსის“ ძირითადი მოთამაშეა, რომელმაც წელს მართლაც რომ შესანიშნავად იასპარეზა.

შემტევი ნახევარმცველი: ზინედინ ზიდანი. რამდენიმე დღის წინ „რეალის“ ჰავბეკი ფიფას ვერსიით წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ამიტომ აქ ჩემი კომენტარი ზედმეტი იქნება.



მარცხენა ნახევარმცველი: პაველ ნედვედი. ნედვედმა წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა როგორც „იუვენტუსს“, ასევე ჩეხეთის ნაკრებს. მან „ბებერ ქალბატონს“ სერია „ა“-ს ოქროს მედლები მოაპოვებინა, აგრეთვე ეს გუნდი ევროპის ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ხოლო ჩეხეთის ნაკრები — ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა.

ფორვარდი: რუუდ ვან ნისტელროი. „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში ნისტელროიმ არაერთი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და, ამიტომაც დაიმსახურა ადგილი ჩემეულ სიმბოლურ ნაკრებში.

ფორვარდი: ტიერი ანრი. არ გაუმართლა, თორმემ ფიფას ვერსიით, წლის საუკეთესო ფეხბურთელი სწორედ ანრი გახდებოდა, რომელიც „არსენალის“ სული და გულია.

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი. კაცი, რომელმაც „მილანს“ ევროპის ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა.

თასისთვისაც მოიცალეს....

ევროპის ქვეყნებში ამ შუა კვირაში სათასო თამაშებისთვის მოიცალეს. გერმანიაში კი სულაც **ბუნდესლიგის** მორიგი ტურის მატჩები შედგა. ცქიტიშვილისა და იაშვილის „ფრაიბურგმა“ საკუთარ მოედანზე გამანადგურებელი მარცხი იწვნია მიუნხენის „ბაიერნთან“ 0-6. სტუმართაგან ორი გოლი მაკაიმ გაიტანა, თითოჯერ თავი გამოიჩინეს დემიკელისმა, სალიჰამიჯიჩმა, პიძარომ და ტროხოვსკიმ.

გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ.

„ფრაიბურგი“: გოლცი, რიტერი, კონდე, ბ. დიარა, ბერნერი, (კაირო, 46), ბაირამოვიჩი (ჰერმელი, 44), ცაიერი, ცქიტიშვილი, ანტარი, იაშვილი, სანუ (კულიბალი, 65).

„ბაიერნი“: კანი, სანიოლი, დემიკელისი (ლელი, 90), ლინკე, რაუ, სალიჰამიჯიჩი (ტროხოვსკი, 84), ჰარგრივსი, შვაინტაიგერი (იერემისი, 72), ზე რობერტო, მაკაი, პიძარო.

ბრემენის „ვერდერმა“ 3-0 სძლია „ჰანზას“ და 39 ქულით ერთპიროვნული ლიდერობა გაიმყარა. მას ოთხი ქულით ჩამორჩება სამი გუნდი: „ბაიერნს“, „ლევერკუზენს“ და „შტუტგარტს“ 35-35 ქულა აქვთ. შტუტგარტმა ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. ამჯერად საკუთარ მოედანზე „ლევერკუზენთან“ 2-3.

სხვა მატჩები: „დორტმუნდი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 1-1, „ჰანოვერი“ — „ბოხუმი“ 2-2, „მიუნხენი“ — „მიონხენგლადბახი“ 1-2, „შალკე“ — „ვოლფსბურგი“ 1-1, „კიოლნი“ — „ჰერტა“ 3-0, „აინტრახტი“ — „ჰამბურგი“ 2-3.

ესპანეთში ქვეყნის თასის გათამაშების მატჩები შედგა. „ბარსელონამ“, „დეპორტივომ“ და „ვალენსიამ“ იოლად გადალახეს ეს ეტაპი. მათ შესაბამისად სძლიეს „სიუდადს“ (4-0), „ხიმნასტიკსა“ (2-1) და „მურსიას“ (2-0).

სხვა მატჩები ასე დასრულდა: „ლევანტე“ — „მალიორკა“ 2-0, „კორდობა“ — „ბეტისი“ 1-3, „სალამანკა“ — „სარაგოსა“ 2-3 დ.დ., „ხერესი“ — „მალაგა“ 0-1, „ეიბარი“ — „რასინგი“ 0-0 (პენ. 3-2), „ალმეირია“ — „ვალიადოლიდი“ 1-3, „კადისი“ — „ოსასუნა“ 1-2, „ლანსაროტე“ — „სევილია“ 0-1.

აქვე გაგაცნობთ სხვა ქვეყნების თასის გათამაშების მატჩებს.

საფრანგეთის თასი.

„ლილი“ — „სენტ ეტიენი“ 2-3, „გუნიონი“ — „ბასტია“ 3-1, „ლე მანი“ — „სედანი“ 2-1 დ.დ., „ნანტი“ — „კლერმონი“ 1-0 დ.დ., „ნიცა“ — „მეცი“ 1-0, „ტრუა“ — „ოსერი“ 0-3, „სოშო“ — „მარსელი“ 1-0.

ჰოლანდიის თასი

„უტრეხტი“ — „ვაალვაიკი“ 3-1, „ფეიენოორდი“ — „ვიტესი“ 1-0, „ჰეერენვენი“ — „ნაიმეგენი“ 0-1, „აიაქსი“ — „ბრედა“ 0-1.

ინგლისის ლიგის თასი

„ასტონ ვილა“ — „ჩელსი“ 2-1, „ტოტენჰემი“ — „მიდლსბრო“ 1-1 (პენ. 4-5).

იტალიის თასი

„პარმა“ — „ვენეცია“ 0-1, „ლაციო“ — „მოდენა“ 1-0, „პალერმო“ — „რომა“ 1-2, „რეჯინა“ — „ინტერი“ 1-1.

კრუიფი: დაუთმეთ გზა ახალგაზრდებს

იოჰან კრუიფი ჰოლანდიური ფეხბურთის თვალსაჩინო წარმომადგენელია. საინტერესოა, რას ფიქრობს იგი ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე, რომელშიც იასპარეზებს ჰოლანდიის ნაკრები. ჟურნალისტების პირველი კითხვა კრუიფის მისამართით სწორედ ამ გუნდს უკავშირდებოდა.

● ***როგორ აფასებთ ჰოლანდიის ნაკრების შანსს ევროპის ჩემპიონატზე?***

— ჩვენი ქვეყნის ნაკრების თავკაცს ბევრი საკითხის მოგვარება მოუწევს. ადვოკაატმა უნდა გადაწყვიტოს — დაეყრდნოს გამოცდილ მოთამაშეებს თუ აქცენტი ახალგაზრდებზე გააკეთოს. არიან ახალგაზრდები, რომლებიც დიდი ტალანტით არიან დაჯილდოებულნი. მათ აუცილებლად უნდა მიეცეთ თავის გამოჩენის საშუალება ეროვნულ ნაკრებში.

● ***რას იტყოდით ახალი თაობის ფეხბურთელებზე — რაფაელ ვან დერ ვაარტზე, უესლი სნეიდერზე, ენდი ვან დერ მეიდეზე?***

— თქვენ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის ჩამოთვლა დაგავიწყდათ. მინდა აღვნიშნო „ეინდჰოვენში“ მოთამაშე არენ რობენი. „აიაქსში“ ჰყავთ კიდევ პერსპექტიული ახალგაზრდები. მათ დიდი მომავალი აქვთ. ისინი ნელ-ნელა უნდა გაუშინაურდნენ ჰოლანდიის ნაკრებს. კარგი იქნება, თუ ეს ევრო-2004-ისთვის მოხდება. ამ ტურნირის დასრულების შემდეგ ხომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება...

● ***რომელი ახალგაზრდა ფეხბურთელის თამაში მოგწონთ ყველაზე მეტად? როგორ თვლით, ვან დერ ვაარტს თქვენ გადარებენ...***

— მართლაც რომ შესანიშნავი ფეხბურთელია რაფაელ ვან დერ ვაარტი. მას ახასიათებს დახვეწილი ტექნიკა. ნებისმიერ სიტუაციაში სწრაფად ერკვევა. მაინც აღვნიშნავ რობენის დიდებულ დრიბლინგებს, — ეს უკანასკნელი შუა ხაზის იდეალური მოთამაშეა. პერსპექტიულად მივიჩნევ აგრეთვე ჯონ ჰეიტინგს „აიაქსიდან“, რობინ ვან პერსის „ფეიენოორდიდან“.

● ***როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა ითამაშოს ჰოლანდიის ნაკრების თავდასხმის ხაზზე — რუუდ ვან ნისტელროიმ თუ პატრიკ კლუივერტმა? იქნებ ორივე ერთად?***

— ყველაფერი დამოკიდებულია ადვოკაატზე, — გააჩნია, რა სისტემით ათამაშებს იგი გუნდს. მთავარია, ნაკრების საუკეთესო მხარეები მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული. ამ ფორვარდებმა შეუძლიათ ითამაშონ როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე.

● ***და ბოლოს, რომელ გუნდს მიიჩნევთ „ევრო-2004“-ის ფავორიტად?***

— ძნელია ამის თქმა. თუმცა, პორტუგალიელებს გარკვეული უპირატესობა აქვთ სხვებთან შედარებით. ისინი „საკუთარ კედლებში“ თამაშობენ...

ბლატერი ევროპის წამყვანი გუნდების წინააღმდეგ



ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი კვლავ განაგრძნობს ბრძოლას ევროპის წამყვანი გუნდების წინააღმდეგ. „ფინანსიალ ტაიმის“-თვის მიცემულ ინტერვიუში ბლატერმა განაცხადა, რომ ევროპული გრანდები „აყაჩაღებენ“ დანარჩენ მსოფლიოს. ფინანსურად ძლიერი საფეხბურთო გუნდები აფრიკიდან, აზიიდან და განვითარებად ქვეყნებიდან „ჩალის“ ფასად ყიდულობენ ნიჭიერ ფეხბურთელებს.

„ვფიქრობ, ეს არის არაჯანსაღი ტენდენცია, როცა ევროპის წამყვანი კლუბები აფრიკასა და აზიაში აგზავნიან თავიანთ სკაუტებს, ეს უკანასკნელნი კი გამალებით ეძებენ დიდი ტალანტის მქონე ფეხბურთელებს, რომლებსაც აგზავნიან ევროპაში“, — ამბობს ბლატერი.

ფიფას პრეზიდენტის აზრით, ნიჭიერ ფეხბურთელთა მიგრაცია აფერხებს სპორტის ამ სახეობის განვითარებას აფრიკასა თუ აზიის ქვეყნებში.

ბლატერი აცხადებს, რომ ძალუძს წინ აღუდგეს ასეთ პროცესს.

რომან აბრამოვიჩი წლის პერსონა

ბრიტანულმა გაზეთმა „ივნინგ სტანდარტმა“ ჩაატარა გამოკითხვა „წლის პერსონის“ გამოსავლენად. აღმოჩნდა, რომ 2003 წელს, ინგლისში ყველაზე პოპულარული პერსონა რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი ყოფილა, რომელმაც ლონდონური საფეხბურთო კლუბი „ჩელსი“ იყიდა და 100 მილიონი დოლარი გამოყო ახალი ფეხბურთელების შესაძენად.

რობერტო კარლოსს გერმანელების არ ეშინია

როგორც იცით, ევროპის ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის კენჭისყრამ ერთმანეთს შეახვედრა ორი ევროპული გრანდი — მადრიდის „რეალი“ და მიუნხენის „ბაიერნი“. „სამეფო გუნდის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე რობერტო კარლოსი ფიქრობს, რომ თუკი მისი თანაგუნდელები სერიოზულად მოინდომებენ, შეძლებენ გზიდან ჩამოიცილონ ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი.

„შარშან სხვა სიტუაცია იყო. ძლიერად ასპარეზობდნენ იტალიური კლუბები, წელს კი ყველაზე სახიფათო მეტოქეები არიან „არსენალი“, „შტუტგარტი“ და „ბაიერნი“, — განაცხადა რობერტო კარლოსმა, — ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ, რადგან ერთი შეცდომაც კი შესაძლოა ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის ფასად დაგვიჯდეს. მართალია, ძლიერი შემადგენლობა გვყავს და ჯგუფურ ეტაპზე ყველაფერი გამოგვივიდა, მაგრამ ნურავინ დაიჯერებს, რომ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება „რეალისთვის“ იოლი იქნება.“

აქვე რობერტო კარლოსმა გამოთქვა საკუთარი აზრი ჩემპიონთა ლიგის ახალი ფორმატის თაობაზე.

„ახალი ფორმატი აღარ იძლევა შეცდომის დაშვების საშუალებას. ყოველ თამაშში შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაა საჭირო, სამაგიეროდ, მატჩებს შორის შესვენებები საგრძნობლად გაიზარდა. ეს გუნდებს საშუალებას აძლევს, უფრო სერიოზულად მოემზადონ შემდეგი მატჩისათვის“, — ამბობს „რეალის“ ფეხბურთელი.

რობერტო კარლოსს დღემდე ვერ მოუნელებია შარშანდელი მარცხი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ტურინის „იუვენტუსთან“. „ჩემს კარიერაში ყველაზე მწარე გამოცდილება სწორედ ტურინში მივიღე. შევეცდებით, ეს წარუმატებლობა გონებიდან წელს „ამოვშალოთ“. ჩვენ მოვიგეთ ჩემპიონთა ლიგა 1998, 2000 და 2002 წლებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოტივაცია აღარ არსებობს, — ეს ლიგა ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირია, რომლის მოგებაზეც ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს. ჩვენ ახლაც გამარჯვებისათვის ვიბრძოლებთ და ვფიქრობთ, საწადელს მივაღწევთ კიდეც“.

85 მილიონი ნისტელროის შესაძენად

MANCHESTER UNITED
GLORY GLORY MAN UNITED

მოსალოდნელია, რომ ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე აქტიური კვლავ აბრამოვიჩის „ჩელსი“ იქნება. რუს ოლიგარქს მიზნად გაუხდია ერთი ძლიერი ცენტრალური მცველის, ერთი ნახევარმცველის და ერთი ფორვარდის შეძენა. ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობა, აპირებს 85 მილიონი ევრო შესთავაზოს „მანჩესტერ იუნაიტედს“ რუუდ ვან ნისტელროის სანაცვლოდ. თუკი გარიგება შედგა, ნისტელროი იქნება ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე. ის ამ მაჩვენებლით თვით ზინედინ ზიდანსაც გადაუსწრებს.

ნბა

დანკანმა „ტორონტოსთან“ გაიბრწყინა



ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „სან-ანტონიომ“ 3 ქულით აჯობა „ტორონტოს“ 73:70. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის გუნდის ლიდერს ტიმ დანკანს, რომელმაც 30 ქულა მოაგროვა და 13-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

წარმატებით ითამაშა ზაზა ფაჩულიას „ორლანდომ“, რომელმაც სტუმრად 94:90 დაამარცხა „ინდიანა“. დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: „ბოსტონი“ — „დალასი“ 105:103, „კლივლენდი“ — „ჰიუსტონი“ 85:89, „ფილადელფია“ — „მაიამი“ 87:76, „ატლანტა“ — „გოლდენ სტეიტი“ 85:98, „დეტროიტი“ — „ჩიკაგო“ 77:73, „ნიუ ჯერსი“ — „იუტა“ 87:74.

საბონისი „ძალგირისში“ კიდევ ერთი წელი დარჩება?

როგორც საკალათბურთო კლუბ „ძალგირისის“ ოფიციალური საიტი იუწყება, არ არის გამორიცხული, ნბა-ს ყოფილმა მოთამაშემ არვიდას საბონისმა გუნდიდან წასვლა ერთი წლით გაგადოს.

„ჯერ არაფერი ვიცი, მაცალეთ ეს სეზონი ჩავამთავრო და შემდეგ ყველაფერი გამოჩნდება“, — განაცხადა არვიდას საბონისმა ჟურნალისტებთან შეხვედრაში.

გრეგ პოპოვიჩი „სან ანტონიოსთან“ კონტრაქტს აგრძელებს

ნბა-ს კლუბ „სან-ანტონიოს“ მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის თანახმადაც იგი გუნდში 2007-2008 წლების სეზონის ბოლომდე დარჩება.

პოპოვიჩის მუშაობას „სან-ანტონიოში“ დადებითად აფასებენ. თავად განსაჯეთ: უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში მან ორჯერ მოაპოვებინა ამ გუნდს ნბა-ს ჩემპიონის ტიტული.

„ნამდვილად გამიმართლა, — გუნდში მაღალკვალიფიციური მოთამაშეები მყავს. მსურს რომ კიდევ რამდენიმე ლამაზი სეზონი გავატარო „სან ანტონიოსთან“ ერთად,“ — განაცხადა გრეგ პოპოვიჩმა.

აივერსონი ახალ წლამდე ვერ ითამაშებს

ნბა-ს ვარსკვლავი ალენ აივერსონი ტრავმის გამო წლის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს. ექიმების დასკვნით, ის მოედანს მხოლოდ იანვარში დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ წლევანდელ სეზონში აივერსონი ერთ-ერთი შედეგიანი მოთამაშეა. ის საშუალოდ 43,9 წუთი იმყოფებოდა მოედანზე და 28,9 ქულას აგროვებდა.

მიხაელ შუმახერი თავს ვეტერანად არ თვლის

„ფორმულა-1“-ის გუნდ „ფერარის“ პილოტის, 34 წლის მიხაელ შუმახერის ანგარიშზე მსოფლიო ჩემპიონის ექვსი ტიტულია. ამის მიუხედავად, შუმახერი სულაც არ თვლის, რომ უმოტივაციოდ არის დარჩენილი. პირიქით, ის კვლავ გამარჯვებისკენ ილტვის.

„ამ სამუშაოსაგან სიამოვნებას ვღებულობ და თავს ისე ვგრძნობ, როგორც ადრეულ წლებში“, — ამბობს მიხაელ შუმახერი.

მისი აზრით, უახლოესი სამი წლის განმავლობაში ის კვლავ იქნება „ფორმულა-1“-ის ერთ-ერთი საუკეთესო პილოტი.

„ფერარის“ პრეზიდენტმა მონტეზემელომ კი ჟურნალისტებს ასეთი რამ უთხრა: „შუმახერთან 2006 წლამდე მაქვს დადებული კონტრაქტი, თუმცა დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ის 2006 წლის შემდეგაც დარჩება „ფერარიში“. დარწმუნებული ვარ, 40 წლის ასაკშიც წარმატებით იასპარეზებს“.

მოსკოვში „ფორმულა-1“-ის ტრასის მშენებლობას იწყებენ



რუსეთის დედაქალაქის მერმა იური ლუჟკოვმა გამოსცა ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებს „ფორმულა-1“-ის ავტოდრომისათვის ადგილის გამოყოფას მოსკოვის ჩრდილოეთით, სანკტ-პეტერბურგისკენ მიმავალ ტრასასთან. ეს 227,6 ჰექტარი ფართობი გადაეცემა სააქციო საზოგადოება „რუსიტალინვესტს“, რომელსაც ევალება აღნიშნულ მონაკვეთში მცხოვრებთა გადასახლება მოლჟანინოვსკის რაიონში. ამის შემდეგ დაიწყება ავტოდრომის მშენებლობა. მისი დასრულების თარიღი ჯერ დაუდგენელია. საინტერესოა, რომ მოსკოვის მერიამ უკვე არაერთხელ გამოსცა განკარგულება ავტოდრომის მშენებლობის დაწყების შესახებ ჯერ ნაგტინის ტერიტორიაზე, შემდეგ მოსკოვის სხვა რაიონში, მაგრამ დღემდე პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა. ლუჟკოვი იმედოვნებს, რომ ამჯერად მაინც გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას ავტოდრომის მშენებელი ორგანიზაციები.

ბრაიანტმა პოპულარობით კურნიკოვას აჯობა

„ლუკოსის“ ინტერნეტის საძიებელი საიტის გამოკითხვის შედეგად დასახელდა წლის ყველაზე „პოპულარული ადამიანი“ სპორტის სფეროში. ასეთი ნბა-ს ვარსკვლავი კობი ბრაიანტი აღმოჩნდა. ბრაიანტის ასეთი პოპულარობა გამოწვეულია მისი სასამართლო პროცესებით, რომელიც კალათბურთელის მიერ მავანი მოდელის გაუპატიურების ბრალდებას ეხებოდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მეორე ადგილზე გავიდა რუსული ჩოგბურთის ვარსკვლავი ანა კურნიკოვა. შემდეგ მოდიან: მაიკლ ჯორდანი, დევიდ ბექჰემი, ალენ აივერსონი, სერენა უილიამსი, ლებრონ ჯეიმსი და მუჰამედ ალი.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



19 დეკემბერი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი. „ქართული ფეხბურთი“ (14.50). **მზერა.** საფეხბურთო პროექტი „ჩვენები“ (22.00). ***НТВ плюс футбол.*** „განვლილი კვირის ჰიტ-პარადი“ (13.20), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.05), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.50), ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში. მატჩი მე-3 ადგილისათვის. პირდაპირი ტრანსლაცია (17.55), ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (20.10). ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში. პირდაპირი ტრანსლაცია. ფინალი (20.40). „ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი“ (23.50). კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა. ნბა-ს მატჩი (7.30, პირდაპირი ტრანსლაცია). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატის მატჩი. „ედმონტონი“ — „მინესოტა“ (11.45). კალათპურთი. ნბა-ს მიმოხილვა (14.40). ტაილანდური კრივი (18.30). „ნოკაუტი“. ტელეჟურნალი პროფესიონალ მოკრივეებზე (21.30). EUROSPORT. საცხენოსნო სპორტი (11.30, 1.00). ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.30, 16.15, 21.00, 22.30). ფეხბურთი. „ჩემპიონთა ლიგის კლასიკა“ (19.00). რალი. საერთაშორისო შეჯიბრება (22.45). „კ-1“ მსოფლიო გრან-პრი (2.15).

20 დეკემბერი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. რაგბი. საქართველოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი „ლოკომოტივის“ სტადიონიდან (14.30). **რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა (19.00). **იმედი.** კალათბურთი. ნბა: „სიეტლი“ — „სან-ანტონიო“ (17.05). **მზერა:** ფეხბურთი „მზეზე“ (12.00). ***НТВ плюс футбол.*** ფეხბურთი. ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში: მატჩი მე-3 ადგილისათვის (13.15), ფინალი (16.30). ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.45). „ფუტბოლ მუნდიალი“ (18.30), ინგლისის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (18.55). „ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი“ (21.15). ესპანეთის ჩემპიონატი (0.25). კალათბურთი. ნბა: მიმოხილვა (4.00). ჩემპიონატის მატჩი (5.00). „ნბა 2000“ (8.00). ***НТВ плюс спорт.*** „ნოკაუტი“. პროფესიონალები (13.00). ჰოკეი. ევროტური: შვეცია — რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია (13.50), ფინეთი — ჩეხეთი (19.30). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატის მატჩი (17.15). პროფესიული კრივი: ვლადიმირ კლიჩკო — დენელ ნიკოლსონი. პირდაპირი ტრანსლაცია გერმანიიდან (1.00). EUROSPORT. ფეხბურთი. „ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი“ (12.30). ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.30, 17.00, 21.00). კრივი. პროფესიონალები (23.00), საცხენოსნო სპორტი. კონკური (1.00).

21 დეკემბერი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი. „მსოფლიო ფეხბურთი“ (21.30). **იმედი.** პროგრამა „ასი“ (18.00). ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (23.30 — პირველი ტაიმი, 0.30 — მეორე ტაიმი. პირდაპირი რეპორტაჟი). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატი (13.15, 1.35). ინგლისის ჩემპიონატი (15.00, 20.00 — „ტოტენჰემი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“. პირდაპირი ტრანსლაცია). ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.25), იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (17.55), „ფუტბოლ მუნდიალი“ (22.45). იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (23.25). კალათბურთი. ნბა-ს ლეგენდები — დრაჟან პეტროვიჩი (4.00), მიმოხილვა და ყოველკვირეული (5.00, 5.30). ჩემპიონატის მატჩი (6.00), ლეგენდები: რედ ხოლემანი (9.00). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი: ნხლ-ის ჩემპიონატის მატჩი (11.20). ევროტური. „ბალტიკის თასი“: რუსეთი — ჩეხეთი (13.50), ფინეთი — შვედეთი (17.20). ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (16.35, 19.55). პროფესიული კრივი: ვლადიმირ კლიჩკო — დენელ ნიკოლსონი (21.30), ტაილანდური კრივი (1.30). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.30, 12.45, 16.45, 18.45, 20.00, 21.00). საცხენოსნო სპორტი: მსოფლიო თასი (0.00), კონკური (1.00). „კ-1“. მსოფლიოს გრან-პრი იაპონიაში (2.15).

ჰოკეის „დიდების დარბაზს“ რუსებიც ქმნიან

მოსკოვში შედგა რუსეთის ჰოკეის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გადაწყდა, რომ შეიქმნას ჰოკეის „დიდების დარბაზი“, რომელიც უკვდავყოფს რუსული ჰოკეის ბრწყინვალე ვარსკვლავებს. ასეთი „დარბაზის“ შექმნა უკავშირდება რუსული ჰოკეის ისტორიის ერთ მნიშვნელოვან იუბილეს — 50 წლის წინ ამ ქვეყნის ჰოკეისტთა ნაკრებმა პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ჩემპიონის ტიტული მეოცედ დაიცვა

იბფ-სა და ვბა-ს ვერსიით სუპერსაშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მეოცედ (!) დაიცვა სვენ ოტკემ. ამჯერად მან 12-რაუნდიან ბრძოლაში აჯობა რობინ რეიდს. სპეციალისტების აზრით, ეს არ იყო ოტკეს საუკეთესო ბრძოლა, ვინაიდან მან მხოლოდ ქულებით მოუგო მეტოქეს.

კროსვორდი № 98



თარაზულად: 1. საქართველოში მომუშავე უცხოელი საკალათბურთო მწვრთნელი, 7. სპორტული ქინი, ანუ... 9. სათადარიგო მოთამაშე, ანუ... 10. ილეთი ჭიდაობაში, 12. ცირკის მასხარა, იგივე ... 13. მთიანეთი აღმოსავლეთ ციმბირში, 15. მოჭადრაკე ლანჩავას სახელი, 16. გაფრთხილება ძიუდოში, 17. შეჯიბრების რბოლის მონაკვეთი, 19. კოლუმბიელი ფეხბურთელი, რომელიც გულშემატკივრებმა მოკლეს, 23. მოჭადრაკე მათნაძის სახელი, 24. ცნობილი ფეხბურთელი, ლე... 26. ცნობილი იტალიელი ფეხბურთელები — ძმები, 27. ვეტერანი, ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, 28. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 29. რუმინელი ვეტერანი ჩოგბურთელის ნასტასეს სახელი, 30. ყოფილი იტალიელი ფეხბურთელი, ნაკრების წევრი.

შვეულად: 1. მძლეოსნური იარაღი, 2. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თითქმის მუდმივი მეტოქე ევროპის და მსოფლიოს შესარჩევ ეტაპებზე, 3. კვირის დღე, 4. ქართული რევოლუციის სიმბოლო, 5. სიგრძის ერთ-ერთი საზომი ერთეული (ინგლ), 6. კამერუნის ნაკრების ფეხბურთელი 1998 წ. მს. ჩემპიონატზე, 8. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი, 11. კარატეს ტერმინი, 14. მთამსვლელი, ანუ... 16. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 18. ქვეყანა, სადაც თავს იყრიან ევერესტის ექსპედიციის მონაწილენი ლაშქრობის წინ, 20. ცურვის ყაიდა, 21. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 22. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 24. გერმანიის საფეხბურთო კლუბი.

შეადგინა ნოდარ ჯაჭვაძემ

№97 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. ნებიერიძე, 7. ფაჩულია, 8. სალო, 9. კვოტა, 10. როგი, 13. „ბრანი“, 14. „გურია“, 16. ლეილა, 18. კორეა, 22. შატილი, 23. რეიტინგი, 24. ქარტია, 25. „ტოდო“, 26. პირამიდა, 27. ლი.

შვეულად: 1. ფარვა, 2. კურტანიძე, 3. „ნანტი“, 4. ბადრო, 5. როსი, 6. ძელი, 11. გაბელია, 12. ლატინინა, 15. ურო, 17. ალიკაპი, 18. კარეტა, 19. რაინდი, 20. ო,ნილი, 21. რიქშა, 22. შორტი.

საჭადრაკო ამოცანა

გივი მოსიაშვილი
(რუსთავი) 1998 წ.



შამათი 2 სვლაში

№ 97-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლd7! 1. ..... ე:c5 2. ლa4X, 1. ..... ე— 2. ლb5X, 1. ..... მფ:c5 2. ლd6X, 1. ..... c3 2. ლd4X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti-lelo@nm.ru